ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №163 (ს/კ: 01.72.14.013.589) სამეურნეო და საწარმო ობიექტი, დამხმარე ტექნიკური შენობის პროექტის IV კლასის, მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე ზეგავლენის კვლევა 20 მ. რადიუსში

საექსპერტო დასკვნა

კონსტრუქციული ნაწილი

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №163 (ს/კ: 01.72.14.013.589) სამეურნეო და საწარმო ობიექტი, დამხმარე ტექნიკური შენობის პროექტის IV კლასის, მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე ზეგავლენის კვლევა 20 მ. რადიუსში, კონსტრუქციული ნაწილი.

საინჟინრო გეოლოგიური პირობების მიხედვით, საძირკვლის ფუძედ მიღებულია ხრეშოვანი გრუნტი, კენჭის 10%-მდე ჩანართებით, თიხაქვიშის შემავსებლით, პირობითი საანგარიშო წინააღმდეგობა, წყალგაჯერებულ მდგომარეობაში, R_0 = 2,00 კგძ/სმ^2. გრუნტის სხვა ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები იხილეთ პროექტის გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გათვალისწინებით, სამშენებლო მოედანი განლაგებულია 8 ბალიან სეისმური აქტივობის ზონაში. ქარის დაწნევის ნორმატიული მნიშვნელობაა-60კგძ/მ^2; თოვლის ნორმატიული დატვირთვა-50კგძ/მ^2.

საპროექტო შენობა გეგმაში რთული კონფიგურაციისაა, შენობა შვიდ სართულიანია. გააჩნია მიწისქვეშა სართული (სარდაფი).

ნაგებობის კონსტრუქციულ სისტემად ორივე მიმართულებით მიღებულია, რკინაბეტონის მონოლითური ჩარჩოები, გადახურვით, პემზაბეტონის წვრილი ბლოკების წყობის სისქის კედლების შემავსებლით.

ადგილზე ვიზუალური დათვალიერებისა და გამოკვლევის შედეგად დადგინდა, მომიჯნავე შენობა (ს/კ: 01.72.14.013.445), საპროექტო შენობიდან (ს/კ: 01.72.14.013.589) უმოკლესი მანძილით დაშორებულია 2,25 მეტრით. დღევანდელი მდგომარეობით შენობა გამოიყურება ასე **(სურ. №1.).**




სურ. №1.



სურ. №2.

მომიჯნავე შენობა (ს/კ: 01.72.14.013.195), საპროექტო შენობიდან (ს/კ: 01.72.14.013.589) უმოკლესი მანძილით დაშორებულია 8,79 მეტრით. დღევანდელი მდგომარეობით შენობა გამოიყურება ასე **(სურ. №2.)**.

$$a \geq \frac{\Delta h}{tg\varphi_1 + \frac{c_1}{p}}$$



სადაც :	a	- არის საძირკვლებს შორის მინიმალური დაცილება **(მეტრი)**	1,262212
	φ_1	- არის გრუნტის შიგა ხახუნის კუთხე **(გრადუსი)**	36
	c_1	- არის გრუნტის შეჭიდულობა **(კგძ/სმ2)**	4
	p	- არის ზედა საძირკვლის ძირზე საშუალო საანგარიშო დატვირთვა **(კგძ/სმ2)**	3
	Δh	- არის საპროექტო და მომიჯნავე შენობების საძირკვლების ჩაღრმავებებს შორის სხვაობა **(მეტრი)**	2,6

მშენებარე შენობის გავლენა მომიჯნავე შენობებზე:

საპროექტო შენობის საძირკველი, მომიჯნავე შენობის საძირკველთან 2,25 მეტრით მანძილზე ჩაღრმავებული იქნება 2,60 მეტრით.

იმისათვის, რომ მშენებარე შენობამ არ იქონიოს უარყოფითი გავლენა მომიჯნაცე შენობების ტექნიკურ მდგრადობაზე, საჭიროა შესრულდეს პირობა:

$$a \geq \frac{\Delta h}{tg\varphi_1 + \frac{c_1}{p}}$$ (ფორმულა #1)

მშენებარე შენობის გავლენა მომიჯნავე შენობებზე:

ამრიგად, საპროექტო შენობის მშენებლობა არ იქონიებს გავლენას არსებულ შენობებზე, ვინაიდან მათ შორის არსებული მანძილი არის 2,25 მეტრი, ხოლო მინიმალური დასაშვები მანძილი ანგარიშით მიღებულია 1.26 მეტრი.

სხვა დანარჩენი შენობა-ნაგებობები უფრო მეტი მანძილითაა დაშორებული.

დასკვნა: ამრიგად, ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №163 (ს/კ: 01.72.14.013.589) სამეურნეო და საწარმო ობიექტი, დამხმარე ტექნიკური შენობის პროექტის IV კლასის, მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე ზეგავლენის კვლევა 20 მ. რადიუსში, დაგეგმილი სამუშაოების გავლენა, არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობაზე, უარყოფით ზეგავლენას არ მოახდენს, პროექტირებასა და მშენებლობას ეძლევა დადებითი შეფასება.

დამოუკ. ექსპერტი
საინჟ. მეცნ. დოქტორი
მობ. 593 28 34 58

ჯ. ვაშაკიძე
22.04.2024

გამოყენებული ლიტერატურა:

- ✓ სამშენებლო ნორმები და წესები – ,, სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01 – 09).
- ✓ ,,საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია“, დამტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს მიერ, 1991 წლის 17 ივლისს. თბილისი 1992წ, 140 გვ.
- ✓ СНиП II-22-81* Каменные и Армокаменные Конструкций. (სნ და წ II-22-81* ქვის და არმოქვის კონსტრუქციები).
- ✓ სამშენებლო ნორმები და წესები - „შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (პნ 02.01-08).
- ✓ СП 13-102-2003 ,,ნაგებობების და შენობების მზიდი სამშენებლო კონსტრუქციების გამოკვლევის წესები”